# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

№1370 2018 წლის 10 ივლისი ქ. თბილისი

**შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიასთვის“ საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

„საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის $2^3$ პუნქტის შესაბამისად:

1. მდინარე საშუალაზე ჰიდროელექტროსადგურების კასკადის („საშუალა 1 ჰესი“ და „საშუალა 2 ჰესი“) მშენებლობის მიზნით, შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ (ს/კ: 404485188) მიეცეს უფლება, ბუნებრივი გარემოდან ამოიღოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №28.24.25.010; №28.24.25.011; №28.24.25.012; №28.24.25.013) მდებარე, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების შემდეგი სახეობები:

ა) ჩვეულებრივი წაბლი (*Castanea sativa* Mill.) – 64 (სამოცდაოთხი) ინდივიდი;

ბ) კაკლის ხე (Juglans regia L.) – 10 (ათი) ინდივიდი.

2. შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯია“ ვალდებულია:

ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს (შემდგომში – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი) წინასწარ აცნობოს საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღების დაგეგმილი ვადების შესახებ;

ბ) მოჭრილი მერქნული რესურსი, დაუკოტრავი სახით, სახეობების მიხედვით, დაასაწყობოს სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და გადასცეს მას მიღება-ჩაბარების აქტით.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე კონტროლი განახორციელოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა.

პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე

KA021785566386518


სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge


N5/30879

31 / მაისი / 2018 წ.

**შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას"**

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი 24.04.2018 წლის N01-015 (23.04.2018წ. N41786/ფ) წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის 24.05.2018წ. N2496 წერილით წარმოდგენილი პოზიციის გათვალისწინებით, სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯია"-სთვის აღნაგობის უფლებით გადაცემულ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მდებარე 4 (ოთხი) ერთეულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N28.24.25.010; N28.24.25.011; N28.24.25.012; N28.24.25.013), თქვენი წერილით წარმოდგენილი დანართის შესაბამისად განახორციელოთ არაწითელი ნუსხის სახეობის მინიმალური რაოდენობის ხე-მცენარის მოჭრა უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით და იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული ქმედების განხორციელების შედეგად სახელმწიფოს არ წარმოეშობა რაიმე სახის ვალდებულება და ზიანი არ მიადგება სახელმწიფო ქონებას.

ამასთან გაცნობებთ, რომ „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 29[1] მუხლისა და ,,ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილების მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განხორციელებული ჭრების, სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხულ ტერიტორიაზე განხორციელებული ჭრებისა და სპეციალური ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსი დაუკოტრავი სახით, სახეობების მიხედვით, საწყობდება სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და მისი ამავე სააგენტოსათვის გადაცემა ხდება ჭრის განხორციელების უფლების მქონე პირსა და სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

წერილთან ერთად გიგზავნით ზემოხსენებულ კორესპონდენციას.

აქვე გაცნობებთ, რომ „წითელი ნუსხით" დაცული მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება რეგულირდება "საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ" საქართველოს კანონით.

დანართი: 1 ფურცელი

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ეკატერინე სისაური